

ახალი ტექნოლოგიები საინფორმაციო სივრცეში და მოქალაქე ჟურნალისტის ჩართულობა

შენგელია ნანა – ასოცირებული პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

New Technologies in Information Space and Citizen Journalist Involvement in It

Shengelia Nana – Associate Professor, Department of Social Sciences, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Abstract

Introduction and aim: While talking about the implementation of democratic values among the population of Georgia, raising the quality of education and development of the population, stabilization of the political processes and independence of the country, economic growth and most importantly, increasing the living standards in Georgia, it is essential for each Georgian to involve in the most important process.

There is no doubt, that this process isn't easy. However, based on deliberate and effective steps each person as well as the state policy will get the desired outcome. Community education and development implies its readiness, its active involvement in difficult and the most important processes, acquiring and accumulating certain knowledge about these processes. The role of the media in these processes is undoubtedly high.

Each day technical progress provides us with additional opportunities and its ignorance will create the image of public stagnation. Parallel with the traditional media sources nowadays the most important means of spreading the information is internet sources, where in most cases the society itself is the direct participant, appraiser and even the distributor of the information. In this regard, such information is free from any kind of censorship, limitation and editorial framework.

The study has shown that the society is the ideal determinant why the certain information is important and urgent. They express their critical and negative attitudes, the positive or negative attitudes are stated there. This gives us the clear image of society's readiness toward the certain issue or problem. 75% of the respondents believe that public involvement and open expression of the positions are crucial for development of the political, economic and social spheres.

Research methodology: Following methods have been used in the research: group interview, questionnaire; involved observation, structured interview and content analysis.

Results and implications: The study has shown that the online relationships between young people (age 15-23; students of final classes) as direct participants of the process are positive stimulant for spreading the information. We may consider this result as additional but one of the most important component in order to improve the spread the information freely.

Conclusion: Personal profiles of specific political figures, popular people and institutions at social network or official web pages of institutions do not provide us with comprehensive information. Most of them are dry and stereotypical. There is less chance of online consultations and interviews. In response, quite active "online discussions" take place in social networks and "forums". This indicates a great deal of demand of information. Public involvement increases the role and function of citizen journalist. This is the motivation for limitless distribution of information.

In order to get the results of maximum involvement from official structures and individuals, it is necessary and appropriate to have dynamic communication with the users of the social networks and forums.

Keywords: internet resource, online relationship, awareness; modern technologies, citizen journalist.

აბსტრაქტი

მესავალი და მიზანი: მაშინ, როცა საუბარია ქართველ მოსახლეობას შორის დემოკრატიული ღირებულებების და ფასეულობების დანერგვის შესახებ, საზოგადოების განათლების და განვითარების ხარისხის ამაღლებაზე, პოლიტიკური პროცესების სტაბილიზაციასა და ქვეყნის დამოუკიდებლობაზე, ეკონომიკური წინსვლისა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საქართველოში ცხოვრების დონის ამაღლებაზე, უმნიშვნელოვანესია თითოეული ქართველის, თითოეული მოქალაქის აქტიური ჩართულობა ქვეყნისთვის, საზოგადოებისთვის ამ მეტად უმნიშვნელოვანეს პროცესებში.

ექვეგარეშეა, რომ ეს მარტივი პროცესი სულაც არ არის. თუმცა, როგორც თითოეული ადამიანი, ასევე სახელწიფო პოლიტიკა, მიზანმიმართული და ქმედითი ნაბიჯების გადადგმის საფუძველზე მიიღებენ სასურველ შედეგს. საზოგადოების განათლება, განვითარება გულისხმობს სწორედ ამ საზოგადოების მზაობას ქვეყნისთვის საჭირობო და უმნიშვნელოვანეს პროცესებში, აქტიურ ჩართულობას, ამ პროცესების შესახებ გარკვეული ცოდნის შეძენას და დაგროვებას. მედიასაშუალებების როლი ამ პროცესებში უადაოდ დიდია.

ტექნიკური პროგრესი დღითიდღე დამატებით შესაძლებლობებს გვაძლევს, რომელთა იგნორირი უბრალოდ შექმნის საზოგადოების სტაგნაციის სურათს. ტრადიციული მედიასაშუალებების პარალელურად, დღეს საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდების უმნიშვნელოვანესი ფორმა ინტერნეტრესურსებით ინფორმაციის გავრცელება და მიღებაა, სადაც უმეტეს შემთხვევებში სწორედ საზოგადოებაა ამ ინფორმაციის გავრცელების უშუალო მონაწილე, შემფასებელი და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია გამავრცელებელიც. ამ მხრივ მსგავსი ინფორმაცია თავისუფალია ყოველგვარი ცენზურისაგან, შეზღუდვისა და სარედაქციო ჩარჩოებში მოქცევისაგან.

კვლევამ ცხადყო, რომ სწორედ საზოგადოება ხდება განმსაზღვრელი რატომ ხდება ესა თუ ის ინფორმაცია მნიშვნელოვანი, აქტუალური, საჭირო ან თუნდაც გამოხატავენ კრიტიკულ, უარყოფით დამოკიდებულებას, იქვე ფიქსირდება საზოგადოების დადებითი თუ უარყოფითი დამოკიდებულება. და სწორედ ეს გვაძლევს ნათელ სურათს იმისა, თუ როგორია საზოგადოების მზაობა ამა თუ იმ საკითხის თუ პრობლემის მიმართ. გამოკითხულთა 75 % მიიჩნევს, რომ თანამედროვე ცხოვრების პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური სფეროების განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი ჩართულობა და პოზიციების ღია გამოხატულებაა.

კვლევის მეთოდოლოგია: კვლევის დროს გამოყენებული იქნა შემდეგი მეთოდები: ჯგუფური ინტერვიუ, ანკეტირება, ჩართული დაკვირვება, სტრუქტურირებული ინტერვიუ და კონტენტ-ანალიზი.

შედეგები და გამოყენება: კვლევამ აჩვენა, რომახალგაზრდების (ასაკი 15-23; იგულისხმებიან დამამთავრებელი კლასების მოსწავლეები და სტუდენტები), პროცესის უშუალო მონაწილეების ინლაინურთიერთობები ინფორმაციის გავრცელებაში ერთ-ერთი დადებითი სტიმულატორია. ეს შედეგი შეიძლება მივიჩნიოთ დამატებით, მაგრამ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტად ინფორმაციის თავისუფლად გავრცელების გაუმჯობესების მიზნით.

დასკვნა: კონკრეტული პოლიტიკური ფიგურების, ცნობადი სახეების თუ ინსტიტუციების პირადი პროფილები სოციალურ ქსელებში თუ დაწესებულებების ოფიციალური გვერდები ვერ იძლევიან ამომწურავ ინფორმაციას. მათი უმეტესობა, ძირითადად, მშრალი და შაბლონურია. ნაკლებია ონლაინ კონსულტაციების თუ გასაუბრებების შესაძლებლობა. ამის საპასუხოდ ძალიან აქტიური „ონლაინმსჯელობები“ მიმდინარეობს სოციალურ ქსელებსა თუ „ფორუმებზე“. ეს მიანიშნებს ინფორმაციის მიღების მოთხოვნილებაზე საზოგადოების ჩართულობა მოქალაქე ჟურნალისტის როლს და ფუნქციას ზრდის. ეს კი ინფორმაციის შეუზღუდავად და თავისუფლად გავრცელების განმაპირობებელია.

ოფიციალური სტრუქტურების თუ პირების მხრიდან, მაქსიმალური ჩართულობის შედეგის მისაღებად საჭირო და მიზანშეწონილია სოციალური ქსელების თუ ფორუმების მიონაწილეებთან დინამიური კომუნიკაცია, მათი მაქსიმალური ინფორმირება.

საკვანძო სიტყვები: ინტერნეტრესურსი, ონლაინურთიერთობა, ინფორმაციულობა, თანამედროვე ტექნოლოგიები, მოქალაქე ჟურნალისტი.

როცა საუბარია ქართველ მოსახლეობას შორის დემოკრატიული ღირებულებების და ფასეულობების დანერგვის, საზოგადოების განათლების და განვითარების ხარისხის ამაღლების, პოლიტიკური პროცესების სტაბილიზაციის და ქვეყნის დამოუკიდებლობის, ეკონომიკური წინსვლის, საქართველოში ცხოვრების დონის ამაღლების შესახებ, უმნიშვნელოვანესია თითოეული მოქალაქის აქტიური ჩართულობა ქვეყნისთვის, საზოგადოებისთვის ამ მეტად მნიშვნელოვან პროცესებში. ეჭვგარეშეა, რომ ეს მარტივი პროცესი სულაც არ არის. თუმცა, როგორც თითოეული ადამიანი, ასევე სახელწიფო პოლიტიკა, მიზანმიმართული და ქმედითი ნაბიჯების გადადგმის საფუძველზე, მიიღებენ სასურველ შედეგს. საზოგადოების განათლება, განვითარება გულისხმობს სწორედ ამ საზოგადოების მზაობას აქტიურად ჩაერთონ ქვეყნისთვის საჭირობო როტო და უმნიშვნელოვანეს პროცესებში, შეიძინონ და დააგროვონ გარკვეული ცოდნა. მედიასაშუალებების როლი ამ პროცესებში უადაოდ დიდია. შესაბამისად, ჩვენი ნაშრომის მიზანს, მოქალაქე ჟურნალისტის ცნობიერების დონის და დამოკიდებულების კვლევა წარმოადგენს.

ტექნოლოგიური პროგრესის პარალელურად ინტერნეტმა საზოგადოების ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მახასიათებლის ფუნქცია იტვირთა. შესაბამისად, ჟურნალისტიკამაც თანდათანობით იცვალა სახე. ინტერნეტრესურსებზე წვდომამ უბრალო, რიგით ადამიანებს საშუალება მისცა შემთხვევის ანუ მოვლენის ადგილიდან გაავრცელონ ახალი ამბავი და გახდნენ „მოქალაქე ჟურნალისტები“—ახალი ამბების გამშუქებლები, რეპორტიორები. სიტყვა „მოქალაქე ჟურნალისტის“ ცნება დღითიდღე განზოგადდა და დღეს საინტერესო სურათი გვაქვს. ზოგჯერ რიგითი ადამიანის მიერ გავრცელებული ახალი ამბავი ხდება მედიასაშუალებების განსჯის და კვლევის ობიექტი. მაგალითისთვის მოვიტანთ 11 ივნისის თბილისის დამანგრეველი წყალდიდობის შესახებ ინფორმაციას. პირველად სოციალურმა ქსელმა აუწყა საზოგადოებას საფრთხის შესახებ, მაშინ როცა პირველი საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობა სწორედ მოვლენის ეპიცენტრს გადაჰყურებდა. ეს მიანიშნებს იმაზე, რომ მოქალაქე ჟურნალისტების საქმიანობა თავისუფალი და შეუზღუდავია. ბევრ რიგით ადამიანს ვერც კი წარმოუდგენია, რომ მოვლენის ადგილას მის მიერ გადაღებული ფოტო/ვიდეო მასალის, კომენტარის სოციალური ქსელით გავრცელებისას როგორ ასრულებს ჟურნალისტის ფუნქციას უნებურად, გაუაზრებლად, რაც გაუცნობიერებელი ქმედებაა იმ კონკრეტულ დროსა და ადგილას. ამ პროცესის დროს მოქალაქე არ ფიქრობს რომ მან ექსკლუზივი მოიპოვა, ან კონკურენციაა, ან მისი რეიტინგი გაიზარდა თუ არა. ის მხოლოდ საზოგადოების, კონკრეტულად მისი „ფრენდების“—თვის ახალი ამბავის გაზიარებით არის დაინტერესებული, მისთვის უცხოა ჟურნალისტური სტანდარტები, ან ეთიკის ნორმები... მთავარია ოპერატიულობა, ინფორმაციის გავრცელების აუცილებლობის შეგრძნება. ეს მოსახერხებელი და მარტივი პროცესია მაშინ, როცა ფაქტის თვითმხილველი ფლობს საჭირო ტექნიკას—მაღალი დონის და მახასიათებლის ტელეფონს თავისი ფოტო/ვიდეო და ინტერნეტ უზრუნველყოფით. ამას ემატება თვითმხილველთა შეფასებები, კომენტარები...

მოქალაქეთა ჟურნალისტიკა თანამედროვე მედიასივრცის სწრაფად განვითარებადი ფორმა გახდა, სადაც სწორედ უბრალო, რიგითი ადამიანები იჩენენ ინიციატივას, გააშუქონ ის ახალი ამბავი, რომლის უშუალო თვითმხილველი და მონაწილეები არიან თავად ისინი. ეს არის ახალი ამბები ხალხისთვის, მომზადებული თავად ხალხის მიერ და გავრცელებული სწორედ ხალხის შესახებ. ამ ტიპის ინფორმაციები თავისუფალია ყოველგვარი ცენზურისაგან ან სარედაქციო პოლიტიკისაგან. არ ცნობენ (არც ფლობენ) არავითარ ჟურნალისტურ ნორმებს, სტანდარტებს. ჩვენს მიერ განხორციელებული კვლევების შედეგები აშკარად მიუთითებს მსგავსი ინფორმაციების მიმართ საზოგადოების ცხოველ ინტერესზე. სოციალურ ქსელში ნახვების რაოდენობა, გაზიარება, კომენტარები პირდაპირ მიანიშნებს ახალი ამბავის აქტუალობასა და საზოგადოების დიდ ინტერესზე. ამ პროცესში მოქალაქე ჟურნალისტის ქმედება და საქმიანობა დიდადაა დამოკიდებული მის კეთილსინდისიერებაზე და აბსოლუტურად თვითრეგულირებადია, რადგან ანგარიშვალდებულნი საკუთარი თავის და პრინციპების წინაშე არიან.

ტერმინი „სამოქალაქო ჟურნალისტიკა“ შეესატყვისება ინგლისურ ტერმინს Citizen Journalism. ზოგიერთი თეორეტიკოსი საუბრობს „სამოქალაქო ჟურნალისტიკის“, როგორცაა „საჯარო ჟურნალისტიკის“ Publik Journalism სინონიმის მნიშვნელობის შესახებაც. მეღვინ დეფლორისა და ევერეტ დენისის წიგნში „მასობრივი კომუნიკაციის გააზრებისთვის“¹ „სამოქალაქო ჟურნალისტის“ ცნების შესახებ ასეთ განმარტებას ვკითხულობთ: „ჟურნალისტიკის ეს ახალი სტილი საზოგადოებრივი პრობლემის დიაგნოსტიკისა და მათი გადაჭრის გზებს ეძებს“. ამერიკის შეერთებულ შტატებში ფუნქციონირებადი „მოქალაქე ჟურნალისტთა ეროვნული ასოციაცია (NACJ)“ ერთმანეთისგან განასხვავებს „მოქალაქე ჟურნალისტებსა“ და „შემთხვევით ჟურნალისტებს“ accidental journalists. შემთხვევითი ჟურნალისტი ის ადამიანია, ვინც მოულოდნელად მოვლენის ეპიცენტრში აღმოჩნდება, გადაიღებს ფოტოს ან ვიდეოს და ატვირთავს სოციალური ქსელის საიტებზე (facebook, Myspace)... თეორეტიკოსთა აზრთა-სხვადასხვაობა საინტერესოა. რიგითი ადამიანის მიერ სოციალური ქსელით გავრცელებული ინფორმაცია არაპროფესიონალი ჟურნალისტის მიერ კონკრეტულ საინფორმაციო საშუალებების ვებგვერდებზე დადებული ან გაზიარებული ინფორმაციებისგან დიდად არ განსხვავდება. ჯერ კიდევ შესათანხმებელია სამოქალაქო (მოქალაქეთა) ჟურნალისტიკის ტერმინის არსი. ამ ტერმინის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა განსაზღვრავს რიგითი ადამიანების მონაწილეობას და როლს თანამედროვე ჟურნალისტიკის ტრანსფორმაციაში. ჟურნალისტები ცდილობენ, მხარი დაუჭირონ „სამოქალაქო საზოგადოების“ განვითარებას. ეს მათი ნებაყოფლობითი ძალისხმევაა, რომელიც მიმართულია საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესებისკენ“.

ვიდრე ტერმინის „სამოქალაქო ჟურნალისტიკის“ არსის შესახებ თეორეტიკოსთა შორის ერთსულოვნება ჩამოყალიბდება, უფრო და უფრო მკვიდრდება რიგითი ადამიანის მხრიდან იმ ინიციატივის აღიარება, რომ მას აქვს სრული უფლება საზოგადოებას გაუზიაროს მის მიერ

აღბეჭდილი ახალი ამბავი. იჩენს ინიციატივას, აშუქებს მოვლენას, გამოთქვამს საკუთარ შეხედულებას საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების შესახებ, არ მისდევს არავითარ დადგენილ ჟურნალისტურ ნორმას, მუშაობს თავისუფალი ნებით—ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. უნდა ვაღიაროთ, რომ ამგვარ ინფორმაციებში მრავლადაა დაუზუსტებელი, უხამსი, შეურაცხმყოფელი, დისკრიმინაციის შემცველი ელემენტები.. შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა ინტერნეტმომხმარებლების-ნებისმიერი სფეროს, პროფესიის, ასაკის აუდიტორიის განათლების აუცილებლობა ეთიკური ნორმების, მათი როგორც უფლების, ასევე ვალდებულებების შესახებ, მოქალაქე ჟურნალისტის უფლება—მოვალეობების შესახებ ინფორმაციის მიწოდების, მათი ცნობიერების ამაღლების და გადამზადების ვალდებულება, რათა გაიაზრონ პასუხიმგებლობა საზოგადოების წინაშე - აუცილებელია სწორი ინფორმაციის გავრცელება.... ყველაზე ძლიერ მოტივაციას მოქალაქე ჟურნალისტის საქმიანობაში წარმოადენს საზოგადოებაში სტატუსის მოპოვების ან რეპუტაციის გაზრდის მოთხოვნილება. სამოქალაქო ჟურნალისტის მიმართ ინტერესი აშკარად დიდია. იგი იზიდავს ისეთ აუდიტორიას, რომელიც გამოხატავს უნდობლობას, გაღიზიანებას, ინდიფერენტულობას ტრადიციული მედიისადმი, რომელიც არ კითხულობს, არ უსმენს და არ უყურებს შეთავაზებულ პროდუქციას. ინტერნეტმედიის დაარსების დღიდანვე აქტუალურია კითხვა: ხომ არ ჩაანაცვლებს ონლაინმედია ტრადიციულს? ცხადია ეს კითხვა დღესაც ასეთივე აქტუალობით მუსირებს, მაგრამ ფაქტია, ჯერჯერობით არ მომხდარა ჩანაცვლების პროცესი. დღესაც ყველა მედიასახეს ყავს თავისი ერთგული მომხმარებელი. თუმცა სურათი ნელნელა მაინც იცვლება და რაც მეტად იზრდება ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა, მით უფრო მეტად იზრდება ონლაინინფორმაციის მომხმარებლების რიცხვიც. სამოქალაქო მედიის ცენტრის დამაარსებელი და მოქალაქეთა ჟურნალისტის პირველი მკვლევარი დენ გილმორი თავის წიგნში „ჩვენ-მედია“ ამბობს, რომ თუკი აქამდე ტრადიციული მედია ახალ ამბავს განიხილავდა, როგორც „ლექციას“, ტექნოლოგიური ცვლილებები, როგორცაა, მაგალითად Web 2.0-ის შექმნა, ჟურნალისტის ფორმას უცვლის, სამოქალაქო ჟურნალისტის სახით მას უფრო ინტერაქტიულს ხდის და „საუბრის ან სემინარის“ ფორმას აძლევს.

რადგან ვსაუბრობთ იმ „ჟურნალისტის“ შესახებ, რომელიც სოციალური მედიის ნაწილია, კვლევის მონაწილეები ქართველი ინტერნეტმომხმარებელი ახალგაზრდებისგან სტიქიურად იქნა შერჩეული. მონაწილეების შერჩევის პრინციპი მით უფრო საინტერესოა, რადგან პროცენტულად მხოლოდ ნაწილი ინტერნეტმომხმარებლისა კარგავს დროს ონლაინში შეავსოს ანკეტა. სოციალური ქსელში ონლაინგამოკითხვა თავისთავად გულისხმობს მონაწილეების მრავალფეროვნებას სქესის, ასაკის, ეროვნების, სოციალური და რელიგიური კუთვნილების მიხედვით. კითხვარის შევსებაში მონაწილეობა მიიღო 47 ადამიანი.

კვლევამ ცხადყო, რომ სწორედ საზოგადოება ხდება განმსაზღვრელი რატომ ხდება ესა თუ ის ინფორმაცია მნიშვნელოვანი, აქტუალური ან საჭირო. ზოგჯერ, საზოგადოების მხრიდან, დაფიქსირებულია კრიტიკული, უარყოფითი დამოკიდებულება. სწორედ ეს გვაძლევს დასკვნის გამოტანის საშუალებას თუ როგორია საზოგადოების მზაობა ამა თუ იმ საკითხის

თუ პრობლემის მიმართ. გამოკითხულთა 75 % მიიჩნევს, რომ თანამედროვე ცხოვრების პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური სფეროების განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი ჩართულობა და პოზიციების ღია გამოხატულებაა. კვლევამ აჩვენა, რომ ახალგაზრდების (ასაკი 15-23; იგულისხმებიან დამამთავრებელი კლასების მოსწავლეები და სტუდენტები), პროცესის უშუალო მონაწილეების ინლაინურთიერთობები ინფორმაციის გავრცელებაში ერთ-ერთი დადებითი სტიმულატორია. ეს შედეგი შეიძლება მივიჩნიოთ დამატებით, მაგრამ ერთერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტად ინფორმაციის თავისუფლად გავრცელების გაუმჯობესების კუთხით.

კონკრეტული პოლიტიკური პირების, ასევე ცნობადი სახეების თუ ინსტიტუციების პირადი პროფილები სოციალურ ქსელებში, თუ დაწესებულებების ოფიციალური გვერდები ვერ იძლევიან ამომწურავ ინფორმაციას. მათი უმეტესობა, ძირითადად, მშრალი და შაბლონურია. ნაკლებია ონლაინ კონსულტაციების თუ გასაუბრებების შესაძლებლობა. ამის საპასუხოდ ძალიან აქტიური „ონლაინმსჯელობები“ მიმდინარეობს სოციალურ ქსელებში, „ფორუმებზე“. ეს მიანიშნებს ინფორმაციის მიღების მოთხოვნილებაზე. საზოგადოების ჩართულობა აქტუალურ პროცესებში მოქალაქე ჟურნალისტის როლს და ფუნქციას ზრდის. ეს კი ინფორმაციის შეუზღუდავად და თავისუფლად გავრცელების განმაპირობებელია. ოფიციალური სტრუქტურების თუ პირების მხრიდან, მაქსიმალური ჩართულობის შედეგის მისაღებად საჭირო და მიზანშეწონილია სოციალური ქსელების თუ ფორუმების მიონაწილეებთან დინამიური კომუნიკაცია, მათი მაქსიმალური ინფორმირება.

ტექნიკური პროგრესი დღითიდღე დამატებით შესაძლებლობებს გვაძლევს, რომელთა იგნორი უბრალოდ შექმნის საზოგადოების სტაგნაციის სურათს. ტრადიციული მედიასა-შუალებების პარალელურად, დღეს საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდების უმნიშვნელოვანესი ფორმა ინტერნეტრესურსებით ინფორმაციის გავრცელება და მიღებაა, სადაც უმეტეს შემთხვევებში სწორედ საზოგადოებაა ამ ინფორმაციის გავრცელების უშუალო მონაწილე, შემფასებელი და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია გამავრცელებელიც. ამ მხრივ მსგავსი ინფორმაცია თავისუფალია ყოველგვარი ცენზურისაგან, შეზღუდვისა და სარედაქციო ჩარჩოებში მოქცევისაგან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მელვინ დეფლორი და ევერეტ დენისი. მასობრივი კომუნიკაციის გააზრებისთვის, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი. 2004;
2. Gillmort, Dan (2006). We the media:xii;
3. <http://www.academia.edu/>